



## სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

### პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	<b>ი ს ტ ო რ ი ა</b> <b>History</b>
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	<b>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში</b> <b>- Bachelor of Humanities in History</b>
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	<b>240 კრედიტი</b> სასწავლო კომპონენტი:  <b>ძირითადი სპეციალობა</b> - - 180 კრედიტი: 40 კრედიტი ეთმობა საფაკულტეტო სასწავლო კურსებს, 120 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, 10 კრედიტი სავალდებულო სასწავლო პრაქტიკას და 10 კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებს.  ➤ დამატებითი სპეციალობა (minor) - 60 კრედიტი/ან სპეციალობის არჩევითი ბლოკი-60 კრედიტი/ თავისუფალი კრედიტები - 60 - კრედიტი.
სწავლების ენა	პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	პროფესორი ჯემალ კარალიძე, ასოცირებული პროფესორი ციური ქათამაძე, ასოცირებული პროფესორი ხათუნა დიასამიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა <sup>1</sup>	<b>1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</b> საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. აბიტურიენტები საგანმანათლებლო

<sup>1</sup> პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

	<p>პროგრამაზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით; ბსუ-ს ეეგ-ისთვის დადგენილი აქვს „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის თითოეულ საგამოცდო საგანში შემდეგი პრიორიტეტები, კოეფიციენტები და მინიმალური ზღვარი: 1. ისტორია (6) - 35%-ზე მეტი, 2. ქართული ენა და ლიტერატურა(3) - 25% - ხე მეტი, 3. უცხოური ენა (3) (არჩევით: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) – 20%-ზე მეტი.</p> <p>ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების, სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის <a href="#">№224/ნ ბრძანების</a> შესაბამისად.</p> <p>„ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე საინფორმაციო ბუკლეტებიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრებზე.</p> <p><b>პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი:</b></p> <p>ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის 06 გადაწყვეტილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე“, დასაქმების ბაზრის კვლევის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინების საფუძველზე, ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრა - 50.</p>
<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b></p>	<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა</b></p> <p>ისტორია წარსულის შემსწავლელი მეცნიერებაა. ქართული სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე უმნიშვნელოვანეს და ურთულეს ეტაპზე, წარსულის სრულფასოვანი და კრიტიკული გააზრება, ისტორიული გამოცდილების, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და, ზოგადად, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების შესწავლა, სხვადასხვა ეპოქის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.</p>

ოცდამეერთე საუკუნეში მსოფლიოს განვითარება წარმოუდგენელია ხალხთა მშვიდობიანი და კეთილმეზობლური თანაცხოვრების გარეშე. ამის საფუძველი კი ერთმანეთის ისტორიული წარსულის შესწავლა-გაანალიზება, ღირებულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემაა. სრულფასოვნად გააზრებული ისტორია დაგვეხმარება, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების წარმართვაში, ასევე ხალხთა შორის აგრესიისა და დაპირისპირების დაძლევაში.

ისტორიის შესწავლა აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ წარსული გავლენას ახდენს როგორც აწმყოზე, ასევე მომავალზე და, შესაბამისად, განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რეგიონსა და მსოფლიოში არსებული გამოწვევების, უპირველესად, გლობალიზაციის რთული, მაგრამ გარდაუვალი პროცესის ადეკვატურად აღქმისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

**პროგრამის მიზნები:**

1. მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა მსოფლიო ცივილიზაციების წარმოშობისა და განვითარების ისტორიაში, ასევე საქართველოს ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ მსოფლიო ისტორიის კონტექსტში;

2. განუვითაროს ისტორიული წყაროების წაკითხვის, ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ ჭრილში განხილვისა და კომენტირების უნარი;

3. გამოუმუშაოს საისტორიო მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევისა და დასკვნის უნარი;

4. გამოუმუშაოს სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ეროვნული და რეგიონალური იდენტობის, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გაზიარების და პატივისცემის უნარები.

5. გამოუმუშაოს ისეთი კომპეტენციები, რომ კურსდამთავრებულმა შესძლოს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით წარმატებით დასაქმება სხვადასხვა სფეროში; მას გათავისებული ექნება შემდგომი უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების, კონკურენციის, ინოვაციებისთვის მზაობის, ეთიკური ნორმების და აკადემიური კეთილსინდისიერების უნარები.

აღნიშნული მიზნების განხორციელება საფუძველია იმისა, რომ პროგრამის განხორციელების შედეგად, უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, მომზადდეს მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია ისტორიის დარგში, აღჭურვილი იქნება ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, ამავე დროს იქნება ქვეყნის წარმატებული, პასუხისმგებლიანი მოქალაქე, საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

სწავლის შედეგები:	
<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ხსნის საქართველოს და მსოფლიო ისტორიის განვითარების ძირითად ეტაპებსა და პრინციპებს სფეროს უახლესი გამოკვლევებისა და მიღწევების ფართო დონეზე დაყრდნობით, არა იზოლირებულად, არამედ იმ ცივილიზაციებთან და ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული ან/და რომლებიც მისი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორებია თანამედროვე ეტაპზე ;</li> <li>2. განიხილავს საქართველოს ისტორიის ცალკეულ ისტორიულ პერიოდებს და მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს მსოფლიოს ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტში;</li> <li>3. აცნობიერებს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის რეკონსტრუქციისას მომიჯნავე დისციპლინების მნიშვნელობას.</li> <li>4. აცნობიერებს, რომ თანამედროვე სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარსულის, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და, ზოგადად, საზოგადოების პროგრესის კანონზომიერებათა ცოდნა და კრიტიკული გააზრება, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შემდგომი განვითარებისათვის, არსებული გამოწვევების, გლობალიზაციის პროცესის ადეკვატურად აღქმისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.</li> </ol>
<p>ბ) უნარები</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>5. მოიძიებს და აანალიზებს სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებს და მათი შეჯერების, სინთეზის, კრიტიკული შეფასებისა და რედაქტირების საფუძველზე , წინასწარი მითითებების შესაბამისად, შეუძლია კვლევის საგნის განსაზღვრა და მცირე მოცულობის ნაშრომის შექმნა;</li> <li>6. იყენებს ისტორიის სხვადასხვა სფეროს მონაცემებს (ბიბლიოგრაფიული, საარქივო, სამუზეუმო, ზეპირსიტყვიერი და ა.შ.) და ახდენს მოძიებული ინფორმაციის კატალოგიზაციას, შეძენილი ცოდნის ინტეგრირებას პროფესიულ საქმიანობაში;</li> <li>7. მსჯელობს ისტორიოგრაფიული პრობლემების შესახებ და შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, შესაბამისი ტერმინოლოგიისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალისტთა და არსპეციალისტთა წრეში, საშუალო მოცულობის ისტორიოგრაფიული ხასიათის ანგარიშების შედგენა და მისი ზეპირი ფორმით შესაბამისი აუდიტორიისათვის წარდგენა; საჭიროების შემთხვევაში, უცხოურ ენაზეც;</li> <li>8. შეძლებს დასახული ამოცანის გადასაჭრელად აბსტრაქტულ და კრიტიკულ აზროვნებას, არგუმენტირებულ მსჯელობას და დასკვნის, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე, რთული და ცვალებადი ამოცანების გადაწყვეტას.</li> </ol>

<p>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>კურსდამთავრებული:</p> <p>9. პატივს სცემს განსხვავებულ აზრს, შეხედულებებსა და დასკვნებს; შეუძლია აღებული ვალდებულებების შესრულება, არის პრაქტიკულ თუ სამეცნიერო საქმიანობაში ეთიკური პრინციპების დამცველი, ჰუმანისტური და დემოკრატიული ღირებულებების, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე თავისუფალი პიროვნება.</p> <p>10. აღიარებს უწყვეტი განათლების აუცილებლობას. ახორციელებს სწავლასა და საქმიანობას ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, საკუთარი სწავლის პროცესის ობიექტურად შეფასებას, შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრას და იმ პრიორიტეტების გამოყოფას, რაც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და სფეროში დასაქმებაში შეუწყობს ხელს.</p>
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების შერჩევა და გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/კურსების ფარგლებში შესასრულებელი იმ დავალების მოცულობისა და სირთულის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას სწავლების პროცესში. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა, მრავალფეროვანი მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას (ლექცია - ვიზუალური პრეზენტაცია - ვერბალური განმარტება - დისკუსია - დამოუკიდებელი დავალება (წიგნზე მუშაობა, ჩანაწერები) და სხვ. ამრიგად, სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან.</p> <p><b>სწავლის შედეგების მიღწევის ძირითად მეთოდებად გამოიყენება:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი (ლექცია)</li> <li>2. სემინარი (სწავლება მცირე ჯგუფებში)</li> <li>3. წიგნზე მუშაობის მეთოდი</li> <li>4. წერიტი მუშაობის მეთოდი (ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, რეფერატი, ესე და სხვ.)</li> <li>5. დემონსტრირების მეთოდი (აუდიო და ვიდეომასალების ჩვენება, მუზეუმებში, არქივებში, ბიბლიოთეკებში სასწავლო ვიზიტები და სხვ.)</li> <li>6. ინტერაქტიული მეთოდი</li> <li>7. ტექსტზე/წყაროზე მუშაობის მეთოდი (ისტორიული წყაროს წაკითხვისა და ანალიზის მეთოდი);</li> <li>8. პრაქტიკული მეთოდები//პროფესიული უნარების პრაქტიკა (სავარჯიშოები; სავლე პრაქტიკა-არქეოლოგიური, ეთნოლოგრაფიული)</li> <li>9. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის</li> </ol>

მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

10. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

11. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

12. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

13. **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ისტორიული მოვლენის ანალიზი და ა. შ.

14. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ✓ პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- ✓ დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- ✓ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- ✓ კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- ✓ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- ✓ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

15. **როლური და სიტუაციური თამაშები** – სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

16. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევს თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

17. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- ✓ სწავლების **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- ✓ სწავლების **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- ✓ სასწავლო პროცესში **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- ✓ **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

18. **ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

	<p>19. <b>ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება</b> – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.</p> <p>20. <b>ელექტრონული სწავლება (E-learning)</b> – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.</li> <li>✓ ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.</li> <li>✓ მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.</li> </ul> <p>ეს ჩამონათვალი, ბუნებრივია, არასრულია. წარმოდგენილი მეთოდების გარდა, პროფესორს შეუძლია სწავლების სხვა მეთოდების შერჩევა და გამოყენებაც, გამომდინარე კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად აკადემიური პირები საკონსულტაციო მომსახურებასაც (ტუტორიალი) უწევს სტუდენტებს. საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებისას გათვალისწინებულია სტუდენტთა საჭიროებები და თავისებურებები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას.</p>
<p><b>შეფასების სისტემა</b></p>	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“- ს შესაბამისად.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით (მიმდინარე აქტიურობის შეფასება – 40 ქულა, შუალედური გამოცდები - 20 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა).</p> <p>მიმდინარე შეფასება შეიძლება მოიცავდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) წერით გამოკითხვებს - წერითი დავალება, ტესტი, რეზიუმე, ქვიზი, საშინაო დავალება, ესე და სხვ.</li> <li>ბ) ზეპირ გამოკითხვებს - დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, სემინარი, აქტივობა და სხვ.</li> </ul>



გ) შეფასების სხვა სახის კომპონენტს - პროექტი, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.

ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში, მიმდინარე აქტიურობის ყველა კომპონენტში, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა გარკვეული მაქსიმუმი. ქულათა მაქსიმუმი მითითებულია შესაბამის სილაბუსში და განისაზღვრება პროფესორის მიერ ინდივიდუალურად შემდეგ მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) მიმდინარე შეფასების თითოეული წერიტი გამოკითხვა (რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სირთულის, ფორმისა და შინაარსის თეორიულ საკითხებს, პრაქტიკულ დავალებებს, სიტუაციურ ამოცანებს, ღია, დახურულ ან/და მრავალპასუხიან ტესტებს და სხვ.) შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 10 ქულით;

ბ) მიმდინარე შეფასების თითოეული ზეპირი გამოკითხვა შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული ღია ტესტი ან მრავალპასუხიანი დახურული ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 1 ქულით;

დ) მიმდინარე შეფასებებში, შუალედურ და დასკვნით გამოცდებში გამოყენებული დახურული ერთპასუხიანი ტესტი შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 0.5 ქულით.

#### **დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:**

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 20 ქულა.

#### **სტუდენტის საბოლოო შეფასება:**

- სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან:

ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

- უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს.

ბ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან.

	<p>სტუდენტს დასკვნითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების გაპროტესტების უფლება აქვს შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი დღისა, ხოლო თუ დასკვნითი გამოცდა ტარდება გამოცდების და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში, სტუდენტს გამოცდის შედეგის გაპროტესტების უფლება აქვს გამოცდის დასრულებისთანავე.</p> <p>სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს) უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.</p> <p>სასწავლო კურსში/მოდულში „(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული საგნის დარეგისტრირების მიზნით.</p> <p>სტუდენტს, უფლება არ აქვს დაარეგისტროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება.</p> <p>დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების მეთოდები აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსებში.</p> <p>საბაკალავრო ნაშრომის ფასდება 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა-30 ქულა, ნაშრომის სტრუქტურა, დიზაინი - 20 ქულა, გადმოცემის უნარი-15 ქულა, სიახლე-10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა-15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება-10 ქულა). მისი გაფორმების, წარდგენისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია „ბსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მიხედვით.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო კურსების გავლისა და არანაკლებ 240 კრედიტის ათვისების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია <b>„ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში“</b>. პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს საჯარო ან/და კერძო სექტორში; ადგილობრივ და რეგიონულ ადმინისტრაციებში; სახელმწიფო, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში როგორც ცენტრალურ და რეგიონულ, ისე მუნიციპალურ დონეზე; საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში; სამუზეუმო, საარქივო, ტურიზმის სფეროებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოებსა და საექსპერტო-საკონსულტაციო ორგანიზაციებში მასმედიაში, ბიბლიოთეკებში და ა.შ.</p>

	<p>შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები შესაძლებლობას მისცემს კურსდამთავრებულს დაგეგმოს საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარება, დაადგინოს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებები და სწავლა გააგრძელოს აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე.</p>
<p>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს და პროგრამას სრულად აფინანსებს სახელწიფო. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ხოლო საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.</p>
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფს, აგრეთვე, სპორტული ბაზებით, საკონფერენციო დარბაზებით, პრაქტიკის ბაზებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით:</p> <p>პროგრამის განხორციელებაში, ძირითადად, მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორ-მასწავლებლები, რომელთაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება (იხ. თანდართული CV-ები).</p> <p>ბსუ-ს ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო აუდიტორიები განლაგებულია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში(ნინოშვილის ქ. #35), უზრუნველყოფილია ინვენტარით, ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ცენტრალიზებული გათბობის სისტემით, უნივერსიტეტს გააჩნია სამედიცინო პუნქტი.</p> <p>ამავე კორპუსშია განლაგებული ისტორიის დარგის მდიდარი წიგნადი ფონდის მქონე უნივერსიტეტის ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, ბსუ დარგისტრირებულია პროექტში “ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის - EIFL“ კონსორციუმის წევრად, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: EBSCOHost (<a href="http://search.epnet.com">http://search.epnet.com</a>), (Cambridge University Journals (<a href="http://journals.cambridge.org">http://journals.cambridge.org</a>), Oxford University Journals (<a href="http://www.oxfordjournals.org">http://www.oxfordjournals.org</a>), Oxford Reference Online (<a href="http://www.oxfordreference.com">http://www.oxfordreference.com</a>),</p>

სტუდენტების განკარგულებაშია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სათანადო მულტიმედიური საშუალებებით აღჭურვილი ამერიკის შემსწავლელი ცენტრი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიის და ნეოგრეცისტიკის, აკადემიკოს დავით ხახუტაიშვილის სახელობის არქეოლოგიის კაბინეტ-მუზეუმი და სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, ასევე, რომანისტიკის, გერმანისტიკისა და თურქოლოგიის კაბინეტები, სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტს აქვს საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და დამხმარე მეთოდური საშუალებები. გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტები ისარგებლებენ აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის, ფიჭვნარის, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალისა და აჭარის ა.რ. მთვრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს, ასევე ბსუ-ს სამეცნიერო ცენტრის ნიკო ბერძენიშვილის სოციალურ-ჰუმანიტარული მიმართულების რესურსებით.

**საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს:**

1. **მერაბ ხალვაში** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
2. **ჯემალ კარალიძე** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
3. **ოთარ გოგოლიშვილი** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
4. **ნანა ხახუტაიშვილი** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **კახაბერ სურგულაძე** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ნუგზარ მგელაძე** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
7. **ირაკლი ბარამიძე** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. **იზოლდა ბელთაძე** - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

	<p>9. <b>ხათუნა დიასამიძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>10. <b>ციური ქათამაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>11. <b>მარინა ჯინჭარაძე</b>-ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>12. <b>ემზარ კახიძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>13. <b>ნუგზარ ზოსიძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>14. <b>თამაზ ფუტყარაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>15. <b>კახაბერ ქამადაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი;</p> <p>16. <b>ლევან ტარიელაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი;</p> <p>17. <b>ლალი ზაქარაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოსოფიის დეპარტამენტის პროფესორი;</p> <p>18. <b>ვარდო ბერიძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოსოფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>19. <b>ნანა ცეცხლაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>20. <b>მზია ხახუტაიშვილი</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>21. <b>მარინე გიორგაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი;</p> <p>22. <b>კესო ბორჩხაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ევროპეისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი;</p>
--	---

	<p>23. <b>იბრაიმ დიდმანიძე</b> - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>24. <b>ზებურ ბერიძე</b> - აკადემიური დოქტორი; უფროსი მასწავლებელი;</p> <p>25. <b>ლეილა დიასამიძე</b> - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასისტენტ პროფესორი;</p> <p>26. <b>ემზარ მაკარაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი;</p> <p>27. <b>მაია ბარამიძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;</p> <p>28. <b>მალხაზ ჩოხარაძე</b> - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;</p> <p>29. <b>ზაზა კილაძე</b> - მოწვეული მასწავლებელი;</p> <p>30. <b>შოთა ჯიჯიეიშვილი</b> - ფილოლოგიის დოქტორი, უფროსი მასწავლებელი;</p> <p>31. <b>არჩილ ვარშალომიძე</b> - ბსუ-ს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი;</p> <p>32. <b>ირაკლი გორგილაძე</b> - ბსუ-ს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>33. <b>ნატალია ლაზბა</b> - ბსუ-ს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;</p> <p>34. <b>ირინა ვარშალომიძე</b> - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;</p> <p>35. <b>თემურ ტუნაძე</b> - ისტორიის დოქტორი. უფროსი მასწავლებელი;</p> <p>36. <b>ტარიელ ებრაღიძე</b> - ისტორიის დოქტორი. უფროსი მასწავლებელი;</p> <p>37. <b>კახა ფუტყარაძე</b> - აკადემიური დოქტორი.</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. აღნიშნულ ინფორმაციას ამზადებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან, კურიკულუმის კომიტეტთან და ბსუ-ს ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>დამატებითი ინფორმაციის სახით საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლოა აღწერილ იქნას პროგრამის განსაკუთრებულად ძლიერი მხარეები. მაგ. საერთაშორისო თანამშრომლობა, ინდუსტრიასთან თანამშრომლობა, თემის საჭიროებებსა და ეროვნულ და საერთაშორისო პრიორიტეტებზე ორიენტირებულობა და სხვ.</p>

